

მოცემული ძირითადი წესები და პირობები ვერცხლდება საოფისე/საერთო სამუშაო, ვირტუალურ ოფისებსა და საწევრო ხელშეკრულებებზე იმ მომსახურებებისთვის, რომლებსაც ჩვენ გავწვდით.

1. გენერალური ხელშეკრულება

- 1.1. ხელშეკრულების არსი: ყოველთვის ყოველი ცენტრი იმყოფება ჩვენს საკუთრებასა და კონტროლის ქვეშ. თქვენ ეთანხმებით, რომ ხელშეკრულება არ წარმოქმნის საიჯარო წილს, მოიჯარის საგნობრივ უფლებას ან უძრავი ქონების სხვა რაიმე სახის ფლობის საშუალებას თქვენს სასარგებლოდ ფართთან დაკავშირებით.
- 1.2. შიდა განაწესი: შიდა წესები, რომლებიც წარმოადგენს მოცემული წესებისა და პირობების განუყოფელ ნაწილს, ყოველთვის ძალაშია და მოქმედებს ყველა კლიენტის პროფესიონალურ გარემოში მუშაობის უზრუნველსაყოფად.
- 1.3. ხელმისაწვდომობა ხელშეკრულების დასაწყისში: თუ რაიმე მიზეზით ჩვენ ვერ შევძლებთ მომსახურებების ან ფართის უზრუნველყოფას ხელშეკრულებაში მითითებულ ცენტრში და თარიღში, ჩვენ ვიხსნით თქვენს მიმართ პასუხისმგებლობას ნებისმიერი ზიანის ან დანაკარგის მიღების გამო, თუმცა თქვენ შეგიძლიათ გადაინაცვლოთ ჩვენს ნებისმიერ სხვა ცენტრში (ხელმისაწვდომობის შესაბამისად), გადადოთ დაწყების თარიღი ან გააუქმოთ იგი.
- 1.4. **ავტომატური განახლება:** იმისთვის, რომ ჩვენ შევძლოთ თქვენი მომსახურებების ეფექტურად მართვა და უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა, ყველა ხელშეკრულება ავტომატურად განახლდება შემდგომი პერიოდებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა მიმდინარე პერიოდის ტოლია, სანამ არ შეწყდება თქვენ ან ჩვენ მიერ. ყველა პერიოდი გაგრძელდება თვის ბოლო დღემდე, რა დროსაც ისინი სხვა მხრივ ამოიწურებოდნენ. განახლების საფასური იქნება განახლების დროს არსებული საფასურის შესაბამისი (ფასები წლიურად განისაზღვრება, ამიტომ თქვენი ხელშეკრულების განახლების თარიღის მიხედვით შესაძლოა ფასი შეიცვალოს). თუ არ გსურთ ხელშეკრულების განახლება, მისი გაუქმება შეგიძლიათ ადვილად. ხელშეკრულებაში მითითებულ დასრულების თარიღში ან ნებისმიერი გაგრძელების ან განახლების პერიოდის დასასრულს, ჩვენთვის წინასწარ შეტყობინებით. შეტყობინება უნდა გამოიგზავნოს თქვენი ონლაინ ანგარიშით ან აპის მეშვეობით. შეტყობინებისთვის საჭირო პერიოდები შემდეგია:
ვადა შეტყობინების პერიოდი
თვიდან თვემდე ნებისმიერი კალენდარული თვის 1-ლი დღიდან არანაკლებ 1 თვის განმავლობაში შეტყობინება
3 თვიანი ხელშეკრულების დასრულებამდე არანაკლებ 2 თვის განმავლობაში შეტყობინება
3 თვეზე მეტი ხელშეკრულების დასრულებამდე არანაკლებ 3 თვის განმავლობაში შეტყობინება
- 1.5. ჩვენ გვაქვს ხელშეკრულების განახლებაზე უარის თქმის უფლება მსგავს შემთხვევაში შეგატყობინებთ ელფოსტის, აპის ან თქვენი ონლაინ ანგარიშის მეშვეობით, ზემოთ მოცემული შეტყობინების პერიოდების წესების გათვალისწინებით.
- 1.6. თუ მოცემული ცენტრი არ იქნება ხელმისაწვდომი: იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მუდმივად ვერ შევძლებთ მომსახურებებისა და ფართის უზრუნველყოფას ხელშეკრულებაში აღნიშნულ ცენტრში, შემოგთავაზებთ ფართს ჩვენს რომელიმე სხვა ცენტრში. იმ ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში, თუ ვერ გამოვნახებთ უახლოეს ალტერნატიულ ფართს, თქვენი ხელშეკრულება დასრულდება და მოგიწევთ მხოლოდ თვიური გადასახადის გადახდა აღნიშნულ თარიღამდე და დამატებით იმ მომსახურებებისთვის, რომლებიც გამოიყენეთ.
- 1.7. ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა: ჩვენ შეგიძლია შეწყვიტოთ ხელშეკრულება თქვენთვის შეტყობინებით, თუ (ა) გახდით გადახდისუუნარო ან გაკოტრდით; ან (ბ) დაარღვიეთ ერთ-ერთი თქვენი ვალდებულება, რომელიც ვერ გამოსწორდება ან რომელზეც ჩვენ გაცნობეთ, რომ გამოგესწორებინათ, მაგრამ ვერ გამოასწორეთ შეტყობინების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში; ან (გ) თქვენი ქცევა, ან თქვენი ნებართვით, ან მოწვევით მყოფი სხვა პირის ქცევა არ შეესაბამება საოფისე გარემოს და (ი) აღნიშნული ქცევა გრძელდება მიუხედავად მიღებული შენიშვნისა, ან (იი) აღნიშნული ქცევა საკმარისია (ჩვენი მოსაზრებით) თანამშრომლობის დაუყოვნებელი დასრულებისთვის; ან (დ) თქვენ არღვევთ ქვემოთ მოცემულ „კანონთან შესაბამისობის“ პუნქტს. თუ ჩვენ შეწყვეტთ ხელშეკრულებას მოცემულ პუნქტში არსებული ნებისმიერი მიზეზით, იგი არ გააუქმებს არცერთ თქვენს ფინანსურ ვალდებულებას, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ იმ პერიოდისთვის, რომელზეც თქვენი ხელშეკრულება გავრცელდებოდა, ჩვენ რომ არ შეგვეწყვიტა.
- 1.8. როდესაც საოფისე ხელშეკრულების ვადა დასრულდება: როდესაც ხელშეკრულების ვადა დასრულდება თქვენს ფართს გაათავისუფლებთ დაუყოვნებლივ და დატოვებთ იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იგი იმყოფებოდა, როდესაც პირველად მიიღეთ. თუ ცენტრში დატოვებთ პირად ნივთებს, ჩვენ ნებისმიერი გზით შეგიძლია თქვენი ხარჯებით მათი თავიდან მოშორება, ჩვენ ასევე თქვენს წინაშე პასუხისმგებლობის გარეშე ვიტოვებთ არჩევანს, ნებისმიერი პასუხისმგებლობა ავიღოთ მათთვის ან გადავწყვიტოთ მათი გაყიდვა. თუ განაგრძობთ ფართის

გამოყენებას ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა ნებისმიერი დანაკარგისთვის, ასევე სარჩელისა და ვალდებულებისთვის, რომელიც შეგვიძლია წარმოვქმნათ თქვენ მიერ ფართის დროულად არდაცლის გამო.

1.9. გადატანის შესაძლებლობა: ექვემდებარება ხელმისაწვდომობას (რომელიც განისაზღვრება ჩვენი შეხედულებისამებრ) თქვენი ხელშეკრულების გადატანა შეგიძლიათ IWG ქსელის ცენტრების ალტერნატიულ ფართში, იმ პირობით, რომ თქვენი ფინანსური ვალდებულება რჩება იგივე (ან იზრდება) და ასეთი გადატანა არ გამოიყენება არსებული ხელშეკრულების გასაგრძელებლად ან განახლების მიზნით. ასეთ გადატანას შესაძლოა ახალი ხელშეკრულების დადება დასჭირდეს.

2. ცენტრების გამოყენება:

2.1. ბიზნეს ოპერაციები: თქვენ არ შეგიძლიათ ისეთი ბიზნესის წარმოება, რომელიც კონკურენციას უწევს ჩვენს საოფისე და მოქნილი სამუშაო სივრცის შეთავაზების ბიზნესს. არ შეგიძლიათ ჩვენი (ან ჩვენი შვილობილი კომპანიების) სახელის გამოყენება თქვენს ბიზნესთან დაკავშირებით. შეგიძლიათ მხოლოდ ცენტრის მისამართის თქვენი რეგისტრაციის მისამართად გამოყენება, თუკი ეს ნებადართულია კანონით და თუ ჩვენ მოგვცით წერილობითი თანხმობა (აღნიშნული მომსახურებისთვის გათვალისწინებულია დამატებითი გადასახადი). ფართის გამოყენება შეგიძლიათ მხოლოდ საოფისე ბიზნეს მიზნებისთვის. თუ მივიჩნევთ, რომ რომელიმე განსაკუთრებული მომსახურების მოთხოვნა გადაჭარბებულია, ვიტოვებთ უფლებას, დაგაკისროთ დამატებითი გადასახადი. იმისთვის, რომ ცენტრში ყველასთვის კარგი სამუშაო გარემო იყოს, გთხოვთ, შეზღუდოთ საზოგადოების წევრების გადაჭარბებული ვიზიტები.

2.2. განთავსება

2.2.1. ცვლილებები ან ზიანი: თქვენ პასუხისმგებელი ხართ ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია თქვენ მიერ ან იმ პირების მიერ, რომლებიც იმყოფებიან ცენტრში თქვენი ნებართვით, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ ნებისმიერი თანამშრომლის, კონტრაქტორის ან/და აგენტის მიერ.

2.2.2. IT ინსტალაციები: ჩვენ გავაჩნია საამაყო IT ინფრასტრუქტურა და შესაბამისად თქვენ არ უნდა დაამონტაჟოთ რაიმე გაყვანილობა, IT ან ტელეკომუნიკაციის კავშირგაბმულობები ჩვენი თანხმობის გარეშე, რომელზეც შესაძლოა უარი ვთქვათ ჩვენი შეხედულებისამებრ. ჩვენი თანხმობის პირობის თანახმად, უნდა დაგვრთოთ ნება გადავხედოთ ნებისმიერი სახის მონტაჟს (მაგალითად IT ან ელექტრო სისტემების) და შევამოწმოთ, რომ აღნიშნული ინსტალაციები არ უქმნიან სირთულეს სხვა კლიენტებს, ჩვენ, ან შენობის ნებისმიერ მფლობელს. მონტაჟისა და დემონტაჟის საფასურის ანაზღაურება მოხდება თქვენი ხარჯით.

2.2.3. ფართის გამოყენება: ხელშეკრულებაში აღნიშნული იქნება ის ფართი, რომელსაც თქვენი მოხმარებისთვის გამოვყოფთ. თქვენთვის გამოყოფილ ოთახებზე გექნებათ არაექსკლუზიური უფლებები. სადაც ფართი საერთო სამუშაო სივრცეა, მისი გამოყენება მხოლოდ ერთ პირს შეუძლია, მისი გაზიარება რამდენიმე პირს შორის არ შეიძლება. ცენტრის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად პერიოდულად შესაძლოა მოგვიწიოს თქვენი ფართის შეცვლა, თუმცა იგი იქნება მეტ-ნაკლებად იმავე ზომის და ცვლილების შესახებ წინასწარ გაგაფრთხილებთ.

2.2.4. ფართზე წვდომა: მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველსაყოფად ჩვენ შესაძლოა მოგვიწიოს თქვენს ფართში შემოსვლა ნებისმიერ დროს, შეზღუდვის გარეშე, საგანგებო სიტუაციის დროს, დასუფთავებისა და ინსპექტირებისთვის ან ხელახლა გასაყიდად, თუ გვაცნობთ, რომ წყვეტთ ხელშეკრულებას. ჩვენ ყოველთვის ვეცდებით გავითვალისწინოთ ნებისმიერი გონივრული უსაფრთხოების პროცედურები თქვენი ბიზნესის კონფიდენციალურობის დასაცავად.

2.3. წევრობა:

2.3.1. თუ გამოწერილი გაქვთ საწევრო ხელშეკრულება, თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიოს გარშემო ყველა მონაწილე თავისუფალი ცენტრი სტანდარტული ბიზნეს სამუშაო საათების განმავლობაში.

2.3.2. წევრობის გამოყენება: გამოყენება იზომება მთლიანი დღეებით და გამოუყენებელი დღეების გადატანა მომდევნო თვეში შეუძლებელია. წევრობა არ არის სრულგანაკვეთიანი სამუშაო სივრცის შემცველი და ყველა სამუშაო სივრცე უნდა გასუფთავდეს ყოველი დღის ბოლოს. ცენტრში თქვენს პირად ნივთებზე პასუხისმგებელი ყოველთვის ხართ მხოლოდ თქვენ. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს არცერთ საკუთრებაზე, რომელიც უყურადღებოდ იქნება დატოვებული. თქვენი საწევროთი გათვალისწინებულ მომსახურებებზე მეტის გამოყენების შემთხვევაში, დაგერიცხებათ დამატებითი მოხმარების გადასახადი. დამატებითი გადასახადის გარეშე შეგიძლიათ მოიყვანოთ

მხოლოდ 1 სტუმარი (სამართლიანი გამოყენების სუბიექტი). ყოველ დამატებით სტუმარს ესაჭიროება დღიური საშვის შექმნა.

2.3.3. როგორც წევრს, არ შეგიძლიათ გამოიყენოთ ცენტრები თქვენს ბიზნეს მისამართად თანმხლები ოფისის ან ვირტუალური ოფისის შეთანხმების ქონის გარეშე. ცენტრის მისამართის აღნიშნული სახით გამოყენება გამოიწვევს ვირტუალური ოფისის გამოწერას თქვენი საწევროს მსგავსი პირობებით და გამოგეგზავნებათ შესაბამისი ინვოისი.

2.4. კანონთან შესაბამისობა: უნდა შეესაბამებოდეთ თქვენი ბიზნესის სფეროში არსებულ ყველა კანონსა და რეგულაციას. არ უნდა გააკეთოთ ისეთი რამ, რაც ხელს შეუშლის ჩვენს ან სხვების მიერ ცენტრის გამოყენებას (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ პოლიტიკური კამპანიით ან ამორალური აქტივობით), რომელიც გამოიწვევს შემფოთებას ან გაღიზიანებას, ან მოგვაცენებს ზარალს ან ზიანს ჩვენ (მათ შორის ზიანს რეპუტაციაზე), ან შენობაში ნებისმიერი საკუთრების მფლობელ პირს. ნებისმიერი მთავრობის ან სხვა ლეგიტიმური ორგანოს მიერ ცენტრიდან თქვენი კრიმინალური საქმიანობის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის წარდგენის შემთხვევაში, თქვენ გახდებით მთავრობის სანქციების სუბიექტი, ჩვენ კი უფლებამოსილები ვიქნებით, დაუყოვნებლივ დავასრულოთ ნებისმიერი და ყველა თქვენი ხელშეკრულება. თქვენ აცნობიერებთ, რომ ამ პუნქტის თქვენი მხრიდან ნებისმიერი სახით დარღვევა გამოიწვევს მატერიალურ ვალდებულებას, რაც უფლებას მოგცემს, შეწყვიტოთ თქვენი ხელშეკრულება შემდგომი შეტყობინების გარეშე.

2.5. ეთიკური ვაჭრობა: ორივე მხარე, თქვენც და ჩვენც, ყოველთვის ვემორჩილებით ყველა შესაბამის ანტიმონურ, მექრთამეობის საწინააღმდეგო და ანტიკორუფციულ კანონებს.

2.6. მონაცემთა დაცვა:

2.6.1. ყოველი მხარე დაემორჩილება მონაცემთა დაცვის ყველა მოქმედ კანონმდებლობას. თქვენი პირადი მონაცემების დამუშავება მოხდება ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის საფუძველზე (ხელმისაწვდომია ჩვენს ვებსაიტზე www.iwgp.com/clientprivacypolicy).

2.6.2. თქვენ აცნობიერებთ და თანახმა ხართ, რომ ჩვენ შეგვიძლია შევავროვოთ და დავამუშავოთ თქვენი ან/და თქვენი პერსონალის პირადი მონაცემები ჩვენი ხელშეკრულების შესაბამისად თქვენთვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. ამგვარი პირადი მონაცემები დამუშავდება ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად. თუ ამ მონაცემების მოგვაწვდით, დარწმუნდით, რომ გააჩნიათ და წესრიგში გაქვთ შესაბამისი თანხმობები და ცნობები ამის გასაკეთებლად.

2.7. თანამშრომლები: ორივე მხარე გავიღებთ დიდძალ ძალისხმევას ჩვენი პირადი შემადგენლობის გადამზადებისთვის, შესაბამისად, არცერთი ჩვენთაგანი გაცნობიერებულად არ უშუამდგომლებს ან შესთავაზებს თანამშრომლობას ცენტრში დასაქმებულ სხვა პირებს (ან სამსახურის დატოვებიდან 3 თვის განმავლობაში). სხვა შტატის ტრენინგისა და ინვესტიციების ხარჯების ასანაზღაურებლად, თუ რომელიმე ჩვენგანი დაარღვევს ამ პუნქტს, დამრღვევი მხარე მეორე მხარეს მოთხოვნისთანავე გადაუხდის ნებისმიერი საქმეში მონაწილე თანამშრომლის 6 თვის ხელფასს.

2.8. კონფიდენციალურობა: ხელშეკრულების პირობები კონფიდენციალურია. არცერთ ჩვენგანს მეორე მხარის თანხმობის გარეშე არ შეუძლია მათი გაცემა, თუ ამას არ ითხოვს კანონი ან ოფიციალური ორგანო. ეს ვალდებულება გრძელდება ხელშეკრულების დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.

2.9. უფლების გადაცემა: ხელშეკრულება არის თქვენი პირადული და არ უნდა გადაეცეს სხვას ჩვენთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს გადაცემა მოთხოვნილია კანონით. თუმცა, ჩვენ უმიზეზოდ არ შევაკავებთ ან გაცვეთ თანხმობას უფლების გადაცემაზე შვილობილი კომპანიისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ შეასრულებთ ჩვენი გადაცემის სტანდარტულ ფორმას. ჩვენ შეგვიძლია ხელშეკრულებით გადავცეთ ნებისმიერი ხელშეკრულება, და ნებისმიერი და ყველა თქვენ მიერ გადასახდელი თანხა ჩვენი ჯგუფის ნებისმიერ წევრს.

2.10. მოქმედი კანონი: ხელშეკრულება წყდება და აღსრულდება იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს იქ, სადაც მდებარეობს ცენტრი, გარდა რამდენიმე სპეციფიკური წესისა, რომლებიც აღწერილია შინაგანაწესში. ჩვენ და თქვენ, ორივე ვეთანხმებით ამ კანონმდებლობის სასამართლოს ექსკლუზიურ იურისდიქციას. თუ ამ დებულებებისა და პირობების ნებისმიერი დებულება ჩაითვლება ანულირებულად ან ძალადაკარგულად მოქმედი კანონის შესაბამისად, სხვა დებულებები ძალაში დარჩება.

3. ჩვენი პასუხისმგებლობები თქვენს წინაშე და დაზღვევა

3.1. ჩვენი პასუხისმგებლობის ფარგლები: მოქმედი კანონით დაშვებული მაქსიმალურ ფარგლებში, ჩვენ არ ვაგებთ თქვენს წინაშე პასუხს ნებისმიერი დანაკარგის ან ზიანის შემთხვევაში, რომელსაც თქვენ განიცდით ხელშეკრულებით, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ ნებისმიერი დანაკარგის და ზიანის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ჩვენ მიერ მომსახურების ვერ მოწოდების გამო, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს მექანიკური

გაუმართაობის, თავდასხმის ან ჩვენგან კონტროლისგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ჩვენ ვიმოქმედებთ შეგნებულად ან მოვიქცებით დაუდევრად. არცერთ შემთხვევაში არ ვიქნებით პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის დანაკარგის ან ზიანისთვის, სანამ არ წარმოგვიდგენთ წერილობით ცნობას და მოგვცემთ გონივრულ დროს მის გამოსასწორებლად. თუ ჩვენ ვერ ვახერხებთ თქვენთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი მომსახურების მოწოდებას, მაშინ, ქვემოთ მოყვანილი გამონაკლისებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, ავინაზღაურებთ გონივრულად მოქმედ და დამატებით დანახარჯებს, რომლების გაღებაც თქვენ მოგიწევთ მსგავსი მომსახურების სხვისგან მიღების მიზნით.

- 3.2. თქვენი დაზღვევა: თქვენი მოვალეობაა დაზღვევით უზრუნველყოთ საკუთრება, რომელსაც მოიტანთ ცენტრში, ყველა ფოსტისთვის, რომელსაც გაგზავნით ან მიიღებთ, და თქვენი პასუხისმგებლობები თქვენი თანამშრომლების და მესამე პირების მიმართ. ჩვენ კატეგორიულად გირჩევთ, რომ უზრუნველყოთ მსგავსი დაზღვევა.
- 3.3. IT მომსახურებები და ვალდებულებები: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გაგვაჩნია ინტერნეტის მოქმედი უსაფრთხოების პროტოკოლები და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ უზრუნველყოთ თქვენთვის უწყვეტი ინტერნეტის კავშირი, ჩვენ არ წარმოვადგენთ და არ შეგვიძლია მოგცეთ გარანტია კავშირის უწყვეტი შესაძლებლობაზე ჩვენს ქსელთან ან ინტერნეტთან, არც უსაფრთხოების დონის შესახებ ინფორმაციის ან მონაცემებისთვის, რომელსაც თქვენ განათავსებთ მასში. თქვენ უნდა მიიღოთ ყველანაირი უსაფრთხოების ზომები (როგორცაა დაშიფვრა), რომლებიც მიგაჩნიათ, რომ შესაბამისია თქვენი ბიზნესისთვის. თქვენი ერთადერთი და ექსკლუზიური გამოსავალი შეზღუდულ კავშირთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენი კონტროლის ქვეშ არის, იქნება ჩვენი მხრიდან პრობლემის გადაჭრა, პრობლემის შესახებ შეტყობინების მიღებიდან გონივრული ვადის განმავლობაში.
- 3.4. შედეგობრივი დანაკარგების გამორიცხვა: ჩვენ არცერთ შემთხვევაში არ ვაგებთ პასუხს თქვენი ბიზნესის დანაკარგისთვის, მოგების დანაკარგისთვის, მოსალოდნელი დანაზოგების დანაკარგისთვის, მონაცემების დანაკარგის ან ზიანისთვის, მესამე მხარის პრეტენზიებისთვის ან შედეგობრივი ზარალისთვის. ჩვენ კატეგორიულად გირჩევთ, დაეზღვიოთ ნებისმიერი პოტენციური დანაკარგისგან, ზიანისგან, ხარჯისგან ან პასუხისმგებლობისგან.
- 3.5. ჩვენი პასუხისმგებლობის ფინანსური შეზღუდვები: ყველა შემთხვევაში, ჩვენი პასუხისმგებლობა თქვენს წინაშე ექვემდებარება შემდეგ შეზღუდვებს:

3.5.1. პირად დაზიანებაზე ან სიკვდილზე შეზღუდვის გარეშე;

3.5.2. მაქსიმუმ 1 მილიონ ფუნტ სტერლინგამდე (ან 1,5 მილიონ აშშ დოლარამდე ან 1 მილიონ ევრომდე ან ადგილობრივ ეკვივალენტში) ნებისმიერი ერთი მოვლენისთვის ან დაკავშირებული მოვლენების სერიისთვის, რომლებმაც ზიანი მიაყენეს თქვენს პირად საკუთრებას; და

3.5.3. ნებისმიერი სხვა დანაკარგის ან ზიანის გათვალისწინებით, ხელშეკრულების დაწყების დღესა და ანაზღაურების საკითხის წამოჭრის დღემდე გადახდილი ჯამური თანხების მაქსიმუმ 125%-მდე; ან თუ მეტია, საოფისე შეთანხმებებისთვის მხოლოდ, 50 000 ფუნტი სტერლინგი / 100 000 აშშ დოლარი / 66 000 ევრო (ან ადგილობრივ ეკვივალენტში).

4. საფასურები

- 4.1. მომსახურების საავანსო თანხა/დეპოზიტი: თქვენი მომსახურების საავანსო თანხა/დეპოზიტი დაკავებული იქნება ჩვენ მიერ პროცენტის დარიცხვის გარეშე, თქვენი მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. დაბრუნების ყველა მოთხოვნა უნდა განხორციელდეს თქვენი ონლაინ ანგარიშის ან აპის მეშვეობით, რის შემდეგაც მომსახურების საავანსო თანხა/დეპოზიტი ან ნებისმიერი ბალანსი ავინაზღაურდებათ 30 დღის განმავლობაში, როგორც კი თქვენი ხელშეკრულება დასრულდება და გადაიხდით ყველა გადასახადს. ჩვენ გამოვქვითავთ ნებისმიერ ჩვენთვის გადაუხდელ საფასურს და სხვა ხარჯებს თქვენთვის ბალანსის დაბრუნებამდე. საჭირო იქნება უფრო მაღალი საავანსო თანხის გადახდა, თუ ოფისის ან ვირტუალური ოფისის თვიური გადასახადი გაიზარდება განახლების შემდეგ, თუ დავალიანების თანხა გადააჭარბებს დაკავებულ მომსახურების საავანსო თანხას/დეპოზიტს ან/და თუ თქვენ ხშირად აგვიანებთ ინვოისების გადახდას.
- 4.2. გადასახადები და მოვალეობის ბრალდებები: თქვენ თანახმა ხართ გადაიხდით დაუყოვნებლივ (I) ყველა გაყიდვის, გამოყენების, აქციზის, მოხმარების და ნებისმიერ სხვა გადასახადს და ლიცენზირების მოსაკრებელს, რომელიც თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ, ნებისმიერ სამთავრობო ორგანოს (და ჩვენი მოთხოვნის შესაბამისად, წარმოგვიდგენთ აღნიშნული გადახდის დამადასტურებელ მასალებს) და (II) ნებისმიერ გადასახადებს, რომლებსაც ჩვენ გადაუხდით ნებისმიერ სამთავრობო ორგანოს თქვენი განთავსებისთვის, სადაც საჭიროა, მათ შორის და არა მარტო მთლიანი შემოსავლის, ქირის და დატვირთვის გადასახადებს, მატერიალური პირადი ქონების გადასახადებს, საშტამპო გადასახადებს/მოვალეობებს ან სხვა დოკუმენტურ გადასახადებს და თანხებს.

- 4.3. გადახდა: ჩვენ მუდმივად ვცდილობთ შევამციროთ ჩვენი ზემოქმედება გარემოზე და მხარს ვიჭერთ ანალოგიურში. შესაბამისად, ყველა ინვოისს გამოვაგზავნით ელექტრონულად და გადახდებს განახორციელებთ ავტომატიზირებული მეთოდით, როგორცაა პირდაპირ სადებეტო ან საკრედიტო ბარათით ყველგან, სადაც ადგილობრივი საბანკო სისტემები მოგცემენ ამის შესაძლებლობას.
- 4.4. დავიანებული გადახდა: თუ შესაბამის ვადებში არ გადაიხდით გადასახადებს, დაგერიცხებათ დამატებითი თანხა ყოველ ვადაგადაცილებულ ბალანსზე. საფასური განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და ასახულია შინაგანაწესში. თუ გასაჩივრებთ ინვოისის ნებისმიერ ნაწილს, უნდა გადაიხადოთ გაუსაჩივრებელი ნაწილებისთვის შესაბამის ვადებში ან დაგერიცხებათ დავიანების გადასახადი. ჩვენ ასევე ვიტოვებთ უფლებას, შევაჩეროთ მომსახურებები (ექვსის თავიდან აცილების, ცენტრზე წვდომის შეზღუდვის ჩათვლით, სადაც შესაძლებელია), სანამ არსებობენ გადაუხდელი თანხები ან/და პროცენტები, ან არღვევთ ხელშეკრულების პირობებს.
- 4.5. არასაკმარისი თანხები: დამატებითი ადმინისტრირების გამო, თქვენ გადაიხდით დამატებით გადასახადს არასაკმარისი თანხების გამო ნებისმიერი დაბრუნებული ან უარყოფილი გადასახადისთვის. საფასური განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და ასახულია შინაგანაწესში.
- 4.6. აქტივაცია: აქტივაციის საფასური გადაიხდება თითოეული ხელშეკრულებისთვის, რომელიც ჩვენთან გაქვთ (მათ შორის, ყველა ახალი ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დადებულია ზემოხსენებული 1.9 პუნქტით). ეს საფასური მოიცავს კლიენტის დაბინავების პროცესის ადმინისტრაციულ ხარჯებსა და ანგარიშის შექმნას. ეს საფასური განსაზღვრულია თითოეულ ადგილობრივი მომსახურების ხელშეკრულებაში და თანხა ეჭრება თითოეული არენდატორის მომსახურების მქონე ოფისისა და საერთო სამუშაო სივრცისთვის (სპეციალური სამუშაო მაგიდა), ადგილის საფუძველზე ვირტუალური ოფისისა და თითო პირის საფუძველზე წევრობისთვის. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შიდა განაწესში.
- 4.7. ინდექსაცია: თუ ხელშეკრულების ვადა სცილდება 12 თვეს, ან თუ ყოველთვიურად გაგრძელებადი ხელშეკრულება არ შეწყდება 12 თვის განმავლობაში, ჩვენ გავზრდით ყოველთვიურ გადასახადს ყოველ წლისთავზე შინაგანაწესში მითითებული ინფლაციის ინდექსის შესაბამისად.
- 4.8. ოფისის რეგისტრაცია: თქვენი წასვლის ან ცენტრის ფარგლებში სხვა ოთახში გადასვლის დროს ჩამოგაჭრით ოფისის აღდგენის ფიქსირებულ საფასურს დასუფთავებისა და ფართის საწყისი მდგომარეობის აღდგენისთვის საჭირო ხარჯების შესაბამისად. ეს საფასური განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და ასახულია შინაგანაწესში. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, დაგაკისროთ დამატებითი გადასახადი ნებისმიერი აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად, რომლებიც საჭირო იქნება, ჩვეულებრივი ცვეთის გარდა.
- 4.9. სტანდარტული მომსახურებები: ყოველთვიური საფასურების, პლუს მოქმედი გადასახადების და თქვენ მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი განმეორებითი მომსახურებების ანაზღაურება ხდება წინასწარ ყოველთვიურად. სადაც დღიური გადასახადი ვრცელდება, მსგავსი თვის გადასახადი იქნება ყოველდღიური გადასახადის 30-ზე ნამრავლი. თვეზე ნაკლები პერიოდისთვის გადასახადი იქნება ყოველდღიური.
- 4.10. გადახდა-მოხმარებისთანავე და დამატებითი ცვლადი მომსახურებები: თანხები გადახდა-მოხმარებისთანავე მომსახურებებისთვის, პლუს დამატებითი გადასახადები უნდა გადაიხადოთ ყოველთვიურად ჩვენი სტანდარტული განაკვეთით, რომელიც დროდადრო შესაძლოა შეიცვალოს და ხელმისაწვდომია მოთხოვნისთანავე.
- 4.11. ფასდაკლებები, პრომოაქციები და შემოთავაზებები: თუ თქვენ ისარგებლეთ სპეციალური ფასდაკლებით, პრომოაქციით ან შემოთავაზებით, ჩვენ შეწყვეტთ ხსენებულ ფასდაკლებას, პრომოაქციას ან შემოთავაზებას შეტყობინების გარეშე, თუ თქვენ მატერიალურად დაარღვევთ თქვენს ხელშეკრულებას.